დანართი

უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის ეკვივალენტობის დადგენასთან დაკავშირებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის რეკომენდაცია

1. ზოგადი დებულება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება მშობლის განცხადების, უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტისა და სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ გაცემული სწავლის პერიოდის აღიარების დოკუმენტის საფუძველზე.

2. სასწავლო პროცესში დაშვება

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, უცხო ქვეყანაში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის აღიარებამდე დაუშვას მოსწავლე სასწავლო პროცესში, ცენტრის მიერ მოსწავლის საბუთების წარმოებაში მიღების ცნობის საფუძველზე.

2. მოსწავლე მიიღება თავისი ასაკის შესაბამის კლასში. კლასის განსაზღვრისას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია გაითვალისწინოს მშობლის სურვილი მოსწავლის ასაკის შესაბამისზე უფრო ქვედა კლასში დაშვების შესახებ.

3. ცენტრის მიერ სწავლის პერიოდის აღიარების დოკუმენტის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად ვალდებულია ჩააბაროს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ექსტერნატის წესით.

3. შესაბამისობა (ეკვივალენტობა)

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისობა დადგენილია, თუ მოსწავლის მიერ უცხო ქვეყანაში გავლილი საგნისა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის სწავლის შედეგები თავსებადია.

2. სწავლის შედეგები თავსებადია, თუ უცხოეთში პირის მიერ გავლილი საგნის მოცულობა და შინაარსი არ ავლენს აშკარა შეუსაბამობას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის მოცულობასა და შინაარსთან.

3. თავსებადობის დაუდგენლობის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშავებს მოსწავლისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შესაბამის საგანში/საგნებში.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლის მშობელთან შეთანხმებით.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება დაუშვებელია, თუ მოსწავლის ჩარიცხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება მე-12 კლასში მიმდინარე სასწავლო წლის 1 აპრილის შემდეგ.

5. შეფასების დადგენა

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახდენს მოსწავლის მიერ უცხო ქვეყანაში გავლილ საგნებში მიღებული შეფასებების კონვერტაციას შესაბამისი უცხო ქვეყნისა და საქართველოში მოქმედი შეფასების სისტემების საფუძველზე.

2. დაწესებულება ხელმძღვანელობს შემდეგი ფორმულით:

$$y = \frac{S_{max} - x}{S_{max} - S_{min}} \times S_{gmin} + \frac{x - S_{min}}{S_{max} - S_{min}} \times S_{gmax}$$

3. ფორმულაში მოცემული პარამეტრებია:

y - კონვერტირებული შეფასება;

x - შესაბამის ქვეყანაში მიღებული შეფასება;

S_{max} - შესაბამისი ქვეყნის შეფასების მაქსიმალური ქულა;

S_{min} - შესაბამისი ქვეყნის შეფასების მინიმალური დადებითი ქულა;

S_{gmax} - შეფასების მაქსიმალური ქულა საქართველოში;

S_{gmin} - შეფასების მინიმალური დადებითი ქულა საქართველოში.

4. ქვეყნების მიხედვით შეფასების შესაბამისობის ნიმუშებია:

ა) გერმანიაში მოქმედებს შეფასების 6-ქულიანი სისტემა, შეფასების მაქსიმალური ქულაა 1, მინიმალური დადებითი შეფასება - 4 ქულა.

ქვეყანა	ქულების შესაბამისობა			
გერმანია	1	2	3	4
საქართველო	10	8	6	4

ბ) ესპანეთში მოქმედებს შეფასების 10-ქულიანი სისტემა, შეფასების მაქსიმალური ქულაა 10, მინიმალური დადებითი შეფასება - 5 ქულა.

ქვეყანა	ქულების შესაბამისობა						
ესპანეთი	10-9.6	9.5-8.8	8.7-8	7.9-7.2	7.1-6.3	6.2-5.5	5.4-5
საქართველო	10	9	8	7	6	5	4

გ) ისრაელში მოქმედებს შეფასების 100-ქულიანი სისტემა, შეფასების მაქსიმალური ქულაა 100, მინიმალური დადებითი შეფასება - 45 ქულა.

ქვეყანა	ქულების შესაბამისობა					
ისრაელი	100	94	84	74	64	45
საქართველო	10	9	8	7	6	4

დ) რუსეთის ფედერაციაში მოქმედებს შეფასების 5-ქულიანი სისტემა, შეფასების მაქსიმალური ქულაა 5, მინიმალური დადებითი შეფასება - 3 ქულა.

ქვეყანა	ქულების შესაბამისობა		
რუსეთის ფედერაცია	5	4	3
საქართველო	10	7	4

ე) საბერძნეთში მოქმედებს შეფასების 20-ქულიანი სისტემა, შეფასების მაქსიმალური ქულაა 20, მინიმალური დადებითი შეფასება - 10 ქულა.

ქვეყანა	ქულების შესაბამისობა										
საბერძნეთი	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10
საქართველო	10	9	9	8	8	7	6	6	5	5	4

ვ) საფრანგეთში მოქმედებს შეფასების 20-ქულიანი სისტემა, შეფასების მაქსიმალური ქულაა 20, მინიმალური დადებითი შეფასება - 10 ქულა.

ქვეყანა	ქულების შესაბამისობა										
საფრანგეთი	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10
საქართველო	10	9	9	8	8	7	6	6	5	5	4